№ 86 აპრილი 26, ოთხშაბათი 1889 აპრილი 26, ოთხშაბათი № 86

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1889 1877—1889

გაზეთის დასაგზავნად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

რედაქციისაგან

მოვაგონებთ ჩვენს ხელის-მომწერთ, სოფლის მასწავლებელთ გარდა,— რომ ვისაც მხოლოდ ხუთი მანათი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, დანარჩენიც გამოჰგზავნონ პირველ მაისამდე. ვინც ამ დრომდე არ გამოჰგზავნის დანარჩენს ფულს, გაზეთის გზავნა მოესპობა პირველ მაისიდამ.

მცოდნე კაცი

ტვირთულობს დაათვალიეროს ვენახები, გაიგოს სენი ვაზისა, ობი (მილდიუ), ანუ ნაცარი, და აუხსნას მუშებს, როგორ უნდა წამლობა ასეთს ვენახებს. ადრესი: რედაქცია გაზ. «მეურნე»-სი.

(2—2)

ტფილისი, 25 აპრილი

დიდი ხანია მას აქეთ, რაც რუსულს მწერლობაში ძლიერი კალმის ტრიალი იყო იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად საჭირო და სასარგებლოა გიმნაზიებში კლასიკურ ენების, სახელდობრ, ლათინურისა და ბერძნულის სწავლება. ზოგი ამტკიცებდა, რომ ეგ ორი ენა თავი-და-თავი, საუკეთესო საშუალებაა მოზარდ თაობის გონების გასაწვრთნელად და თუ არ კლასიკური განათლება, მოზარდ თაობისათვის კარ-შეკეტილი იქნება მთელი მეცნიერება და მწერლობაო. ზოგი-კი ამბობდა, რომ საუკეთესო და თავი-და-თავი საშუალება ახალგაზდობის გასაწვრთნელად ლათინური და ბერძნული ენა-კი არ არის, არამედ სამშობლო ენაა, ბუნების ყოველ-მხრივი შესწავლა, მათემატიკა და ახალი ევროპიული ენებიო.

ამ ორის აზრის მიხედვით მწერლობაც ორ ბანაკად გაიყო და ამ გამათობაში ბევრი რამ საყურადღებო და საგულისხმო ითქვა. მას შემდეგ კარგა ხანმა გაიარა და გიმნაზიებში შემოღებულ იქმნა ლათინურისა და ბერძნულის ენის სწავლება. სამაგიეროდ თითქმის სრულიად განდევნეს ბუნების შესწავლა და სამოსწავლო მთავრობამ ყურადღება უმთავრესად კლასიკურს ენებს ათხოვა. ამას გარდა გაჰმართეს ეგრედ წოდებული რეალური სასწავლებლები, სადაც კლასიკურის ენების მაგიერ ასწავლიან ბუნების მეტყველებას და მეტს ყურადღებას ათხოვებენ ახალს ენებს, მაგალითად, ფრანგულსა და გერმანულსა. ამ ორ კვარ სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულებს კანონმა სხვა-და-სხვა უფლება მიანიჭა, ასე რომ, სადაც ერთს გზა გაშლილი აქვს, იქ მეორისათვის მიუვალი ციხეა.

აქ იმაზე არაფერს ვიტყვით, თუ რამდენად საფუძვლიანი და სამართლიანი იყო ორის სხვა-და-სხვა ხასიათის სკოლის შემოღება. ხოლო სათქმელი ის არის, დღეს რა თვალით უყურებენ კლასიკურ ენების სწავლების სისტემასა და პროგრამას. დღემდე გიმნაზიებში ლათინურისა და ბერძნულის ენათა სწავლების დროს უმთავრესს ყურადღებას ათხოვებენ ამ ენების გრამატიკის შესწავლას, ასე რომ მოსწავლეს დრო და შეძლება არა აქვს ჩაუკვირდეს წარსულის დიდებულ ერთა მწერლების ნაწერებს და შეითვისოს სული და გული ამ ნაწერებისა. ამიტომ მოზარდ თაობისათვის კარ-დახშული იყო, როგორც დიდებულ ერთა სული და გული, აგრეთვე დღევანდელი სამეცნიერო თუ სამწერლო ვითარებაც. იმის გამო, რომ განსაკუთრებული ყურადღება კლასიკურის ენების ფორმალურ სწავლებისთვის უნდა ეთხოვებინა, მოზარდი თაობა რიგიანად ვერ ითვისებდა სხვა საგნებსა და ენებს. ერთის სიტყვით, კლასიკურმა სისტემამ განათლებისამ მოსალოდნელი ნაყოფი ვერ გამოისხა და დღეს ყველა იმის ფიქრსა და ზრუნვაშია, რომ ლათინ ერისა და ბერძნულის ენის სწავლების მეთოდი შესცვალონ და უფრო გაუფრთხილდნენ ახალგაზდობის დროსა და ძალ-ღონეს. ამ ჟამად ამ საგანზე ლაპარაკი აქვს სამოსწავლო მთავრობასაც. თითქმის ყველა გამოჩენილი მცოდნე კლასიკურ ენებისა და მწერლობისა წინააღმდეგია კლასიკურ ენათა სწავლების სისტემისა. რუსეთში გამოჩენილმა პროფესორმა მოდესტოვმა კარგა ხანია, რაც თავისი აზრი საქვეყნოდ წარმოსთქვა და სიმართლითა და სისწორით ასწონ-დასწონა დღევანდელი კლასიკური სწავლა-განათლება. დღეს თვით საერო განათლების სამინისტროს ჟურნალში დაბეჭდილია წერილი პროფესორ ვეისმანისა, რომელიც, ვითარცა მცოდნე და გამოცდილი კაცი, სრულიად უარჰყოფს დღევანდელს სისტემას ლათინურისა და ბერძნულის ენის სწავლებისას. ვეისმანი ამბობს, რომ აუცილებლად საჭიროა ეგ სისტემა შეიცვალოს და უმთავრესად ყურადღება ეთხოვოს ნაწერების შინაარსის და სულისა და გულის შესწავლას, რომ ახალგაზდობას არ უნდა სტანჯავდნენ გრამატიკის გარდამეტებულის სწავლებითაო. წარსულ მწერალთა ნაწერების საფუძვლიანად შესასწავლად და წარსულის ვითარების შესაგნებლად ნაკლები დრო იქნება საკმარისიო და ამ სახით ახალგაზდობას შეუძლიან სხვა საგნებსაც უფრო ბეჯითად მოეკიდოსო. ვეისმანის აზრით, მათემატიკა, სამშობლო და ახალი რომელიმე უცხო ენა და ბუნების მეტყველება უფრო ძლიერი სახსარია გონების სავარჯიშოდ და საწვრთნელად. ლათინური და ბერძნული ენა განსაკუთრებით იმისთვის უნდა ისწავლებოდესო, რომ ახალგაზდობამ შეითვისოს შინაარსი წარსულის დიდებულ მწერალთა ნაწერებისა და შეიგნოს დიდებულ ერთა ვითარებაო, ამბობს ვეისმანი

რაც ვეისმანმა დღეს გვაცნობა, ახალი და უცხო არ არის მწერლობისათვის და არც ამ მხრით არის საგულისხმო პატივცემულის პროფესორის წერილი. საგულისხმო ის არის, რომ ამ აზრს დღეს ჰქადაგებს პროფესორი ფილოლოგიურის ინსტიტუტისა და ისიც საერო განათლების სამინისტროს ჟურნალში... მარტო ეს გარემოებაც ჰმოწმობს, რომ თვით განათლების სამინისტროსაც უთხოვებია ყურადღება კლასიკურ ენათა სწავლების სისტემისათვის...

ა. ს—ი

◆

ახალი ამბავი

⁂ გუშინ, 25 აპრილს, ტფილისის ოლქის სასამართლოში გუშინწინდელზედ უფრო ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი. წინამძღვრიშვილისა და ეიუბ-სალა-ოღლის დამცველებმა სიტყვის წარმოთქმა პირველის ნახე-

ფელეტონი

მაწანწალა

მოთხრობა

გიუ-დე-მოპასანისა

აგერ ორმოცი დღეა, რაც ის კაცი დადის და ყველგან სამუშაოს დაეძებს, რადგანაც იმის სამშობლო ქვეყანაში, ვილლ-დ'ავარაში, ლამანშის დეპარტამენტისაკენ, დიდი უსაქმურობაა დღეს. ის კაცი დურგალია, ოც-და-შვიდის წლის ყმაწვილი კაცი, გულ-მართალი და საქმის მოყვარე ხელოსანი.

ოჯახში უფროსი იყო და მის ოჯახს იმის მეტი მარჩენელი არავინა ჰყავდა, მაგრამ ეხლა-კი თითონაც ბარგად აეკიდა თავისს ოჯახს,

როცა იმისი დები დღიურად მუშაობდნენ და მცირე შემოსავალი მაინც შემოჰქონდათ სახლში, ჟაკ რანდელი გულ-ხელ დაკრეფილი იჯდა შინ და არაფერს აკეთებდა, რადგან არაფერი არა ჰქონდა გასაკეთებელი.

ჟაკი წავიდა ქალაქის გამგეობაში და სთხოვა: იქნება სამუშაო მიშოვოთო. საქმის მწარმოებელმა უთხრა, რომ სამუშაოს საფრანგეთის შუა დეპარტამენტებში იშოვიო.

ჟაკმა გამოჰკრა ხელსახოცში ერთი პერანგი, ერთი წყვილი წაღა და ბოხჩა ჯოხით მხარზედ გაიდო, ჯიბეში 7 ფრანკი ფული ჩაიჩხრიალა, მოწმობა უბეში ჩაიდო და გაუდგა გზას შუა დეპარტამენტებისაკენ საქმის საშოვნელად.

მიდიოდა დაუსვენებლივ, დღე და ღამე, სიცხეში და ავდარში, მაგრამ მაინც ვერ მიაწლია იმ დალოცვილს ადგილამდე, სადაც სამუშაო იშოვებოდა.

წინად აზრადა ჰქონდა სადურგლო საქმე ეშოვნა, რადგან დურგალი იყო, მაგრამ სადაც-კი მოიკითხა საქმე, ყველგან უპასუხეს, რომ ეს-ეს არის დავითხოვეთ მუშებიო, აქეთაც დიდი უსაქმობააო. ახლა-კი გადასწყვიტა ჟაკმა, რომ, რაც-კი საქმე შემხვდება, მოვკიდებ ხელსა და იმას აღარ გამოვეკიდები, სადურგლო იქნება, თუ საკალატოზოო. ჟაკმა მართლა ყოველ-გვარი საქმე სცადა. მიწის თხრაც დაიწყო, მეჯინიბედ ყოფნაცა სინჯა, შეშასაც აპობდა, ხეებსაც ჰრგავდა, ალიზსაც აკეთებდა, ღობეებსაც სწნავდა და, ასე გასინჯეთ, თხებსაც-კი აძოვებდა. ფასს-კი სულ მცირეს იღებდა, რადგანაც ზოგი სიძუნწით მეტს არ იმეტებდა, ზოგს მეტის მიცემა არ შეეძლო.

ეხლა-კი, ეს ერთი კვირაა, საქმე სრულებით ვერ იშოვა. უსაქმობაში შეჭამა, რაცა ჰქონდა, და მათხოვრობით იკვებებოდა.

საღამო მოტანებული იყო. მოქანცული ჟაკი, ცარიელის კუჭით, აღშფოთებულის გულით მიყიალებდა ფეხშიშველა. ამ წოწიალში ერთი წყვილი ჩექმა კიდეც გაცვითა და მეორეს-კი ინახავდა: ვაითუ უფრო გამიჭირდეს და მაშინ გამომადგებაო.

შაბათი დღე იყო. შემოდგომა გადიოდა. ცა ლეგა ღრუბლით იყო მოცული. ქარს ზუზუნი გაჰქონდა. სოფელში მდუმარება ჩამოვარდნილიყო, მინდვრებში აქა-იქ მხოლოდ თივის ბულულები და შეკრული ძნები მოჩანდა. ანეულები დაეხნათ კიდეც.

ჟაკს ძრიელ შიოდა და შიმშილით ფერდი-ფერდს მიჰკვროდა. თან მოქანცულიც იყო ხეტიალით. თავი დაუმძიმდა, სისხლი მოაწვა თავში და საფეთქლები ძალზე უცემდა. თვალები დაუწითლდა და პირი გაუშრა. რამდენჯერმე ჯოხი მოიმართა ხელში, თითქო იმის ფიქრშია, რომ, ვინც-კი პირველი შემომხვდება სახლში მიმავალი სასადილოდ, რაც ძალი და ღონე მაქვს, თავში ვთხლეშამო.

ჟაკი დააცქერდა მინდორს, იქვე გზის პირას. ერთგან სოფლელებს კარტოფილი ამოეღოთ. ჟაკმა იფიქრა: იქნება აქ დარჩათ რამე? რა კარგი იქნება, რომ ვიპოვნო. დავანთებდი ხევში ცეცხლს, გავთბებოდი და გემრიელ კარტოფილითაც გამოვძღებოდიო. მაგრამ მინდორში არაფერი იყო და გუშინდელივით ისევ უნის ქარხლით თუ მოიკლავდა შიმშილს.

აგერ მეორე დღეა, რაც ჟაკი დადის მინდორ-მინდორ და თავისს თავს ელაპარაკება. ათას გვარი ფიქრები მოსდის თავში. უწინ, სანამ მუშაობდა, არა სცალოდა ამისათვის. ეხლა-კი, როცა მოიქანცა უგზო-უკვლო წოწიალით, როცა საქმე ვერა იშოვა-რა და შიმშილმა შეაწუხა, უნებურად აჰყვა ფიქრს. აქ სოფლელები ეუბნებიან: „რატომ შენს სახლში არ დარჩიო?“ ამის გამო აგონდება ჟაკს თავისი სახლი, უნუგეშოდ და ულუკმა-პუროდ დატოვებული დები, და მწარე ფიქრებს ველარ იშორებს თავიდამ.

— სიგლახავე... სიგლახავე და ის საზიზღრები... სიმშილითა ჰკლავენ კაცს, დურგალს... წუწკები, საძაგლები... ოთხი გროში რა არის, ისიც არა მაქვს... აი წვიმაც მოდის... საძაგლები!..

ჟაკი ჯავრობდა, რადა ვარ ასეთი უბედურიო, სწყევლიდა ყველას, აგინებდა, ჰლანძღავდა: ასე გულ-ქვაენი და უსამართლო რად არიან ყველანიო. ამ დროს ახლო სოფელში შეასწრო თვალი ბოლს, რომელიც ქოხის ბანიდამ ამოდიოდა. ჟაკი კბილებს აკრაჭუნებდა და იმეორებდა: „ღორები, საძაგლები!“ საშინელმა აზრმა გაუელვა თავში: იფიქრა, მივალ იქ, დავხოცავ ყველას, ვინც შიგ არიან და მათ ადგილას მე დავჯდები სადილადაო. ეხლა სწორედ სადილის დროაო. იმას აღარ დაეძებდა, რომ ქურდობა და ძალადობა კანონის წინააღმდეგი იყო.

ჟაკის ფიქრები ახლა სხვაფრივ მიიმართა: „მაშ მე არა მქონია ნება ცხოვრებისა? რაზე მკლავენ სიმშილით?.. მე ხომ მუშაობა მინდა, მუშაობას ვითხოვ, მუქთად ხომ არას ვეძებ. საზიზღრები!“ ჯანის ტკივილმა, კუჭის წვამა და სულის შფოთვამ აღარ მოასვენა მისი გონება: „მეცა მაქვს ნება ვიცოცხლო, მეც ხომ ვსუნთქავ, ჰაერი ყველას ეკუთვნის და მაშ რადა მდევნიან?“

ცივი წვიმა განუწყვეტლივ სცრიდა. ჟაკი შეფერხდა და წაიდუდუნა: „უბედურს კაცს ქვა აღმართში მოეწევა... მთელი თთვე უნდა ვიარო კიდევ, ვიდრე ჩემს სახლამდე მივაღწევ“.

ჟაკი ეხლა-კი მართლა სახლში მიდიოდა, იმიტომ-რომ თავის ქვეყანაში უფრო ადვილად იშოვიდა ადგილს, ვიდრე შარა-გზაზედ. იქ ყველა კარგად იცნობდა და აქ-კი ყველა ეჭვით უცქეროდა. თუ დურგლის ადგილს ვერ იშოვიდა, დღიურ მუშად მაინც აიყვანდნენ, ან საბარავად წაიყვანდნენ, ან სათოხნელად და ერთის ლუკმა პურის შოვნა არ გაუჭირდებოდა. ჟაკმა მოიხვია ხელსახოცი ყელზედ, რომ წვიმას კისერში არ ჩაეტანებინა, მაგრამ ჩქარა შეამჩნია, რომ ხელსახოცი ვერასა შველოდა. საცოდავად მიიხედ-მოიხედა და ნატრობდა: ერთი თავ-შესაფარი მაინც იყოს სადმეო, მაგრამ გაშლილს მინდორზედ არა სჩანდარა. წამობინდდა. უცბად თვალი მოჰკრა, რომ მინდორში ძროხა დარჩენილიყო. ძროხა იწვა ბალახზედ და არხეინად იცოხნებოდა. ჟაკი მარდად გადახტა თხრილზედ და გაეშურა ძროხისაკენ.

ვარზედ გაათავეს და მსაჯულნი შევიდნენ საკითხთა დასადგენად. ერთი საათი საკითხთა დადგენას მოუნდნენ და შემდეგ განაჩენის გადასაწყვეტად შეგროვდნენ სათათბირო ოთახში. ოთხის ნახევარი იყო, რომ შემდეგი განაჩენი გამოიტანეს:

„ბრალდებულნი სამურის ოლქის სოფ. ბაკას მცხოვრებელი ეიუბ-სალა-ოღლი, 20 წლისა, და აზნაური მიხეილ იოსების ძე წინამძღვრიშვილი, 26 წლისა, აღიარებულ იქმნენ დამნაშავედ, რომ ადრევე განუზრახავთ, მორიგებულან ერთმანეთში მესამე შეთქმულთან ერთად და გადაუწყვეტიათ მოკვლა ოლგა თევდორეს ასულის წინამძღვრიშვილისა 1887 წ. სექტემბრის 8-ს, საღამოზედ. ამასთან დადგენილ იქმნა, რომ პირველი ეხმარებოდა მოკვლის საქმეში მკვლელს, თანაზიარი იყო მკვლელობაში და მეორეკი აქეზებდა და აგულიანებდა მკვლელთ ამ საქმისათვის. ამიტომ სისხლის სამართლის კანონთა კრებულის მე-13, 1451, 1450, 1454, 120, 121, 1 და 2 ხ. 19, 134, 135 და 4 ხ. 19 და 139 მუხლთა თანახმად გადაეწყვიტათ ბრალდებულთ ყოველისავე ქონებრივის უფლების ჩამორთმევა, გაგზავნა კატორგაში — ეიუბ-სალა-ოღლის 6 წლითა და რვა თვით, ხოლო აზნ. მიხეილ წინამძღვრიშვილს უვადოდ, — ასე რომ ორივეს სისხლის სამართლის მე-25 მუხლში მოხსენებული სასჯელი გარდახდეთ.“

ამ განაჩენის წაკითხვის შემდეგ რუსულის უცოდინარმა ეიუბ-სალა-ოღლიმ ენა ამოიდგა და რუსულად კარგა მკაფიოდა სთქვა: „ეგრემც დაჰმართებია თქვენს ცოლ-შვილს. თუ მასამართლებთ, ისე გამასამართლეთ, როგორც კანონი მოითხოვს; თუ არადა“... აქ ბრალმდებელმა უბძანა შუბიანს ჯარის-კაცებს გაეყვანათ ბრალდებული და იმათაც შუბის მოღერებით ხმა ჩააწყვეტინეს თავ-აშვებულს ავაზაკს.

⁂ ჩვენს მაზრის ქალაქებში ერთი სულელური თავის მოგიჟიანება სჭირთ მეფაიტონეებსა და ეტლებით მოსიარულე ცეტებს: თავ-მოგლეჯილები მოურიდებლად დააქანებენ ეტლებს ქუჩებზე. ბევრი უბედურებაც ხდება ამის გამო და ყურადღებას-კი არავინ აქცევს. „მშაკში“ სწერენ, რომ აპრილის 10 თელავში გაქანებულს ეტლს გაუტანია ხუთის წლის ყმაწვილი, რომელიც ქუჩაში თამაშობდაო.

⁂ როგორც მოხსენებული იყო, გორის ოქონის ეკკლესიის მღვდელ მიხეილ ნასყიდაშვილის ადგილზედ დაინიშნა ვანათის ბლაღოჩინი-მღვდელი დეკანოზი კანდელაკი. ვანათის ბლაღოჩინობა-კი მიუციათ ჯავის მთავარ-დიაკვან გიორგი ჩოჩიშვილისათვის, რომელიც აკურთხა მღვდლად მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ ეგზარხოსმა პალადიმ 23 ამ თვისას.

⁂ ჩვენ შევიტყუეთ, რომ ბ-ნს გორტინსკის, რომელიც ტფილისის სემინარიის მმართველობის მიერ გაგზავნილი იყო გორის სასულიერო სასწავლებლის დასათვალიერებლად, უკვე წარუდგენია სემინარიის მმართველობისათვის თავისი ანგარიში, რომელიც სემინარიის სამმართველოს განუხილავს და წარუდგენია კიდეც დასამტკიცებლად მის ყოვლად მაღალ უსამღვდელოესობისათვის.

⁂ ტფილისის სასულიერო სემინარიაში ეგზამენები დაიწყება პირველ მაისიდგან და გათავდება ცამეტს ივნისს.

⁂ წელს სემინარიაში ასრულებს სწავლას 28 ყმაწვილი. კარგა ხანია, რაც ამდენს ყმაწვილს ერთად კურსი არ შეუსრულებია სემინარიაში. შარშან ცამეტმა ყმაწვილმა დაასრულა სემინარია. წრევანდელ კურსიდგან ერთს ყმაწვილს ჰგზავნიან კიევის აკადემიაში სახელმწიფო ხარჯით.

⁂ სოფ. მცხეთა: ამ თვის 19 ერთს ქვრივს დედაკაცს ათის წლის ვაჟი მიუყვანია მამასახლისთან და გამოუცხადებია, რომ ეს ბავშვი ვიპოვნე და ილიკო თედოს ძე ლაფაჩი არის გვარადაო. როგორც იმავ დედაკაცს შეუტყვია და უთქვამს, ბავშვი გორელი ყოფილა და ტფილისში უცხოვრია ჩუღურეთში. თვითონ ბავშვს აი რა უჩვენებია: დედინაცვალმა სახლი დამიკეტა, წავიდა და ორს კვირაზე მეტი ვიღაც მეპურემ შემინახაო. მირჩიეს, სადმე სოფელში წადი და ვინმე გიპატრონებსო. ამ სახით ეს ბავშვი დღეს მცხეთას იმყოფება ამ ქვრივ დედაკაცთან.

⁂ **იქიდამვე**: უიმისოდაც დალონებული მცხეთელები კიდევ უფრო დაგვალონა ხარჯის მომატებამ. შარშან შევიტანეთ ორასი თუმანი და ეხლა შეგვაწერეს 1,522 მან. და 30 კაპ. „ნედოიმკა“ და 2,918 მან. და 70 კაპ. საკომლო ხარჯი, სულ 4,441 მან. ეხლა იმის ფიქრში ვართ, საიდგან უნდა გადავიხადოთ ამდენი ფული დღიურის მუშაობის შემაცქერალთა. თუმცა აღწერით 207 კომლი ვართ, მაგრამ ხარჯის გადამხდელი 125 კომლია. ეხლა ვფიქრობთ ბ-ნს გუბერნატორს მივმართოთ, თორემ ამ ზემოხსენებულს შემოწერილს ფულს სასოფლო ხარჯიც ზედ დაერთვის.

⁂ სოფ. ქარელი (გორის მაზრა): ამ აპრილის 24-ს შემდეგი უბედურება მოხდა: ორი ძმა ებრაელი, გვარად მოშიაშვილები, მოხუცებულ დედითურთ დაიტანა სახლმა. მოხუცი მიწიდგან უსულო ამოიღეს. შვილები თუმცა ცოცხლები არიან, მაგრამ ისე ძალიან დაჩეჩქვილან, რომ ერთი მათგანი ვეღარც-კი ლაპარაკობს, პირიდგან სისხლი ამოსდის. აი როგორ მოხდა ეს საზარელი ამბავი: ამ აპრილის 24-ს ორთავ ძმებმა დაიწყეს დანგრევა ძველის ალიზის სახლისა, რომლის მაგივრადაც უნდოდათ აეშენებინათ ქვიტკირის სახლი. ნუ ბძანებთ, თურმე ბანის დანგრევის მაგივრად წინად კედლების ნგრევას შესდგომიან. აი რა ნაირად: ყველა თავხეებისათვის შეუდგამთ რამდენიმე ბოძი (ნეტა რა მოსაფიქრებელია და ან რა განზრახვით), დაუწყიათ ოთხივ კედლის ნგრევა, როდესაც ყველა სახლის ავეჯეულობა გამოუზიდნიათ, და კედლების ნგრევაც თითქმის ძირამდე დაუყვანიათ.

ამ დროს უცებ თავხეებმა დაიჭრიალა თურმე, თავხეების ჭრიალის ხმა რომ შემოესმათ, გამოიქცნენ, რომ სახლს გამოჰშორებოდნენ, მაგრამ მათდა საუბედუროდ ბოძებმა თავხეები ვეღარ შეიმაგრა და მთელი ბანი დაეშვათ თავზე ორივე ძმებსა და მოხუცებულს დედას.

⁂ **გომი**: რკინის გზის სადგურზე, ამ თვის 23-ს, შემდეგი უბედურება მომხდარა. ამ დღეს მოსულა მუშა-მატარებელი (№ 86), რომლიდგანაც ერთი ვაგონი უნდა მოეხსნათ. ვალდებული იყო ვაგონი მოეხსნა კონდუქტორს იურკოვს, რომელმაც თურმე არ მოუცადა მატარებლის გაჩერებას, შეძვრა, ვაგონი გადახსნა და უკანვე გამოძვრა. ამ გამოძვრენაში ვაგონის ქიმი მოხვედრია და იურკოვი ძირს დაცემულა. დაცემის დროს ორივე ფეხი ვაგონს ქვეშ მოჰყოლია და ვაგონს ფეხები სულ ერთიანად დაულეწნია.

⁂ სომხური გაზეთი „ნორ-დარი“ გვაცნობებს, რომ ამ ახლო ხანებში ბაქოში გარდაცვლილა სომეხი გიორგ ლალაიანი. განსვენებული შესანიშნავი კაცი იყო თავისის უხვისა და კეთილის გულით და ყოველთვის ხელი გაშლილი ჰქონდა სხვა-და-სხვა სამადლო სომეხთა დაწესებულებათათვის ბაქოდგან მოკიდებული მოსკოვამდე, სტამბოლამდე და იერუსალიმამდეო. იმის გარდაცვლის შემდეგ მისმა შვილმა, იაკობ ლალაიანმაც, მიჰბაძა მამას და მამის სულის მოსახსენებლად შესწირა თექვსმეტი ათასი მანეთი სამადლო დაწესებულებათა. „მშაკი“ გვაცნობებს, თუ როგორ გაუნაწილებია იაკობ ლალაიანს ეს შეწირული ფული: ეჩმიაძინის ტაძრის განახლებისათვის — 1,000 მან.; ეჩმიაძინის აკადემიისათვის — 2,000 მან., აკადემიაში ამ ფულით ერთი ობოლი ყმაწვილი უნდა იზრდებოდეს; იერუსალიმის სომეხთ საეკკლესიო ვალის გადასახდელად — 600 მან.; ბაქოს სომეხთა სამრევლო სკოლის შენობის ასაგებად — 4,500 მან.; ბაქოს სომეხთა სამრევლო სკოლისათვის — 200 მან.; ბაქოს ღარიბ-ღლახაკთა შესაწევრად — 2,400 მან., შემახიის (ლალაიანი შემახიელი ყოფილა) სამრევლო სკოლისათვის — 2,400 მან.; ბაქოს რუსთა ქველ-მოქმედ საზოგადოებისათვის — 300 მან, რუსთა ახალ საყდრის ასაშენებლად — 300 მან.; ბაქოს ხუთ მღვდლისათვის — ას-ასი მანეთი; დიაკვნებისათვის — 100 მან. და სხვანი.

◆

იმის მისვლაზედ ძროხამ თავი მაღლა აიღო. ქაკმა იფიქრა: საწველელი მაინცა მქონდეს, მოვწველდი და რძეს დავლევდიო.

ქაკი და ძროხა ერთმანეთს შესცქეროდნენ, ქაკმა წაჰკრა ფეხი ძროხას და შეუტია:

— ადე ზეზე!

ძროხა წამოდგა, ჯიქანი რძითა ჰქონდა გატენილი. ქაკი გაწვა დედამიწაზედ და ხარბად დაუწყო წოვა

წვიმა კიდევ მოდიოდა. არსად შეიძლებოდა თავის შეფარება. ქაკი გაიყინა და იქითკენ იცქირებოდა, საითკენაც ცეცხლი მოსჩანდა.

ძროხა ხელ-ახლად დაწვა და ისიც გვერდით მოუწვა. ძროხას განიერ ნესტოებიდამ თბილი ოშხივარი ამოსდიოდა: ნეტა შენაო, ეუბნებოდა ქაკი ძროხას; გეტყობა, არა გცივაო. ეუბნებოდა ამ სიტყვებს და თან თავზედ ხელს უსვამდა ალერსით, თითქო გაძღომისთვის მადლობას ეუბნებაო.

ქაკმა იფიქრა: მოდი ძროხას მუცელს ახლო მოვუწვები და უფრო დამთბებაო. მართლა ასეც მოიქცა. მიუწვა ძროხას მუცელთან და მკვდარივით მიეძინა. თუმცა სიმშილი და სიცივე მალ-მალ აღვიძებდა, მაგრამ მაინც ძილი ისევ ჩქარა წაართმევდა ხოლმე თავს.

პირველმავე მამლის ყივილმა გამოაფხიზლა ქაკი. ცა გაწითლებული იყო. წვიმას გადაეღო. ძროხა კიდევ იწვა და თავი მიწაში წაეყო. ქაკი წამოდგა და აკოცა ტუჩებში:

„მშვიდობითაო, უთხრა ძროხას: შენ უფრო კეთილი ყოფილხარ, ვიდრე ზოგიერთი ადამიანი... მშვიდობით, ჩემო შემბრალებელოვო!“

ქაკმა ჩაიცვა ჩექმები და გაუდგა გზას. ორი საათი იარა და დაღლილი დაქანცული ჩამოჯდა გზის პირას.

ძალზედ გათენდა. დარეკეს წირვის ზარები. გზაზედ გამოჩნდნენ კაცები და დედაკაცები, რომლებიც ნათესავებთან მიდიოდნენ დროს გასატარებლად.

ერთს სრულს, ჯმუხს გლეხ-კაცს ცხვარი მოუდიოდა. ქაკი წამოდგა და თავი დაუკრა.

— საქმე ხომ არა გაქვთ-რა, ღვთის გულისათვის, ჰკითხა ქაკმა: მუშა კაცი ვარ და ლამის შიმშილმა მომკლას: საქმე ვერ მიშოვნია.

გლეხმა ამრეზილის სახით შეხედა და მკვახედ უპასუხა.

— მე მაწანწალებისათვის საქმე არა მაქვს.

დაძმარებული დურგალი დაჯდა ისევ თავის ალაგას.

დიდხანს აღარ წამომდგარა ქაკი. ათვალიერებდა გამვლელ-გამომვლელებში უფრო კარგის შეხედულობის კაცს, რომ იმისთვის მიემართნა ხელ მეორედ. დაინახა სერთუკიანი კაცი, რომელსაც ძალიან უხდებოდა გულზედ ჩამოკონწიალებული საათის ძეწკვი.

ქაკი მივიდა იმასთან და შესთხოვა:

— ეს ერთი კვირაა ვეძებ საქმეს და ვერ მიშოვნია... რაცა მქონდა, სულ დამეხარჯა, გროში აღარ მაბადია.

სერთუკიანმა მრისხანედ მიუგო:

— თქვენ უნდა წაგეკითხათ სოფლის ბოლოში გამოფენილი განცხადება: იქა სწერია, რომ აქ მათხოვრობა აღკრძალულია სხვა სოფლელებისათვის, იცით, რომ მე ამ სოფლის უფროსი ვარ და, თუ თქვენისავე ნებით ჩქარა არ წაეთრევით აქედამ, ვუბძანებ ეხლავ დაგამწყვდიონ!

— რა ვქნა, დამამწყვდიეთ, ჩემთვის ეგა სჯობია, მშიერი ხომ მაინც არ მოვკვდები, — უპასუხა ქაკმა და დაჯდა წინანდელს ადგილზედ.

მართლაც-და თხუთმეტის წამის შემდეგ გზის ბოლოში გამოჩნდა ორი ჯანდარმი, რომელნიც ნელა, ბატებივით, მოდიოდნენ. იმათს პრიალა ქუდებს, ყვითელს თითბრის ღილებს და ხმლებს ლაპლაპი გაჰქონდა მზეზედ. დურგალი მიხვდა, რომ ისინი ჩემ დასაჭერად მოდიანო, მაგრამ ფეხიც არ მოიცვალა თავის ადგილიდამ, თითქო ჯანდარმებს უჭიბრდებაო. ქაკს გულით უნდოდა, რომ წაევლოთ ხელი და წაეყვანათ სოფელში დასამწყვდევად. ჯანდარმები ისე მოდიოდნენ, ვითომ ვერც-კი ვხედავთ ეს ვიღაც კაციაო, მაგრამ, როცა დაუმხარდამხარდნენ, ერთმა მათგანმა ჰკითხა:

— რას აკეთებთ თქვენ აქ?

მუშა კაცმა დამშვიდებით უპასუხა:

— რას უნდა ვაკეთებდე, ვისვენებ.

— საიდამა ხართ?

— ერთს საათშიაც ვერ ჩამოვთვლი ყველა იმ ადგილების სახელებს, სადაც ვიყავი და საიდამაც მოვდივარ.

— სად მიდიხართ?

— ვილლ-დ'ავარაში.

— სად არის ეგ ქვეყანა?

— ლამანშის დეპარტამენტში გახლავთ.

— ეგ დეპარტამენტი თქვენი სამშობლოა?

— დიაღ, იქა ვარ დაბადებული.

— რად წამოხვედით იქიდამ?

— სამუშაოს ვეძებდი.

ჯანდარმა გადაჰხედა ამხანაგს და, თითქო გულ-მოსულმა, რომ ვერ გავტეხე აქამდინაო, სთქვა:

— ესენი სულ ამას ამბობენ, ეს ვირ-ეშმაკები, მაგრამ ვიცნობ რა შვილებიც ბრძანდებიან!

ჯანდარმმა კვლავ განაგრძო გამოკითხვა:

— ქაღალდები გაქვთ?

— მაქვს.

— მომეცით!

ქაკმა ჯიბიდან გაყვითლებული, დაჭმუჭნული ქაღალდები ამოიღო და მიაწოდა ჯანდარმს.

ჯანდარმი მოჰყვა ჯღლიყინით კითხვას და, რაკი დარწმუნდა, რომ კანონიერი საბუთები იყო, უკმაყოფილოდ დაუბრუნა პატრონს. როგორღაც არ ეპაშნიკა ჯანდარმს ქაკის სიალალ-მართლე. პატარა ხანს უკან კიდევ ჰკითხა:

— ფული გაქვსთ, თუ არა?

— არა.

— სულ არა?

— სულ არა.

— არც ერთი გროში?

— არც ერთი გროში.

— მაშ რითი სცხოვრობთ?

— ვთხოულობ.

— გლახაობთ!

— დიაღ ვგლახაობ, საცა შეიძლიან გლახაობა. — მიუგო ქაკმა დაჰეშმარიტებით.

ჯანდარმმა გამოუცხადა:

— რადგანაც თქვენ არა ხელობაზედ არა დგეხართ და მათხოვრობა და მაწანწალობა-კი აქ აღკრძალულია, ამიტომ გაპატიმრებთ და გიბძანებთ წამომყევით.

დურგალი ადგა.

— წამიყვანეთ, სადაც გსურდეთ.

ქაკი ჩადგა ჯანდრებს შუა და სთქვა:

— დამამწყვდიეთ საპატიმროში, ავდარში ჭერ-ქვეშ მაინც ვიქნები.

სამნივე გაემგზავრნენ სოფლისაკენ, რომელიც იქვე ახლო იყო.

სოფელში გამოიარეს წირვის დროს მოედანზედ მოგროვილიყვნენ გლეხები და გლეხის დედაკაცები. რაკი პატიმარი შეამჩნიეს, გამწკრივდნენ გზის პირად და დაუწყეს ყურება შეპყრობილს, რომელსაც უკან სოფლის ბიჭები ასდევნებოდნენ და შეაქცევდნენ ცუდ-უბრალო ლაზღანდარობით. ხალხი ისე შესცქეროდა პატიმარს, თითქო მზად არის, რომ ჩააქვავოს, ცოცხლივ ტყავი გააძროს, ფეხით გასრისოსო. ზოგნი კითხულობდნენ: რა დააშავა, რა მოიპარაო, ან ვინ მოჰკლაო. სოფლის ყასაბი, რომელსაც ერთხელ ჯარში ემსახურნა,

სასამართლოს მატიანე *)

(აზნ. წინამძღვრიშვილის საქმე)

ბრალდებით ოქმის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარე პირდაპირ ბრალდებულთ დაეკითხა, სცნობთ თუ არა თქვენს თავს დამნაშავედაო?

ეიუბ-სალა-ოღლი. მე ამ საქმეში დამნაშავე არა ვარ. მკვლელობამდე ორის საათის წინად შემატყობინა ამხანაგმა ეგ საქმე, ასე მითხრა, ერთი პოლიციის მოხელეა და იმას უნდა, რომ ცოლი მოეუკლათო. მე უარი ვუთხარი. წინამძღვრიშვილის გვარი არ დაუსახელებია. ამ ლაპარაკის დროს ლუდხანაში შემიყვანა და ლუდი დამალევინა. იქიდგან გამოსულებმა ბულვარზედ გამოვიარეთ და დამანახვა პოლიციის მოხელე ვიღაც ქალით იმათ რომ ჩამოიარეს ჩვენკენ, პოლიციელმა ქალისკენ თავი გადიქნია. ამას შემდეგ ისევ ლუდის სასმელად შემიყვანა და მაცთუნებდა, რომ ოცს თუმანს მოგვცემენო, მაგრამ მე მაინც ყურადღება არ მიმიქცევია. შემდეგ მითხრა—იქ წავიდეთო, და მეც გავყევი, არ ვიცოდი-კი სად მივდიოდით. თითონ სახლში შევიდა და მე დამავალა, რომ გარეთ დამიცადე და ჩქარა გამოვალო. ვუცადე კარგა ხანს, ბოლოს ყვირილი შემომესმა, გავიქეცი და ბაღთან დამიჭირეს.

წინამძღვრიშვილი. დამნაშავედ არა ვსთვლი ჩემს თავს, ვითომ ორი კაცი გამეზრახებინოს და ჩემი ცოლი მომეკვლევინოს.

სასამართლომ რამდენისამე ხნის შესვენების შემდეგ მოწმები გამოიხმო, ვინც-კი იყო, თუ თავის მიერ და თუ დამცველის თხოვნით დაბარებული, და დაავიცა. მოწმე 30-მდე იყო, რომელთა შორის სულ მართლმადიდებელნი იყვნენ, ერთი სომეხი და ერთიც ებრაელი.

მოწ. პოლიც. ბოქ. თ. ერისთავი. მხოლოდ ეს ვიცი, რომ როცა ეიუბ-სალა-ოღლი დაიჭირეს, გამოვკითხე, ჩვენება ჩამოვართვი და პირველში უარი სთქვა დანაშაულზე. მეორე დღეს კიდევ დავიბარე და მითხრა, რომ მე და ყაზახჩევმა ჩავიდინეთ ეს საქმე და წინამძღვრიშვილი ჯილდოს დაგვპირდაო. იარაღი არა ჰქონია, დაწვრილებული ცნობანი აღარ მახსოვს.

მელიქ-ადამოვი. როგორ გითხრათ, ის ხომ არ უთქვამს, რომ როცა ყაზახჩევი შევიდა წინამძღვრიშვილისას და ჰკლავდა, მე არ ვიცოდიო.

პასუხი. არ მახსოვს, მარტო ის დავინახსომე, რომ სთქვა: ის შევიდა და მე-კი გარეთ ველოდი იარაღით ხელშიო.

მოწმეს გამომძიებლის დაწერილი ჩვენება წაუკითხეს და სთქვა, რომ მართალია, ეგრე იყოვო.

პოლიციის მოხელე სავანელი. ეიუბ-სალა-ოღლიმ მე მითხრა ჩვენების ჩამორთმევის დროს, რომ წინამძღვრიშვილის სურვილით მოვკალით ქალი, ქმარი 200 მან. დაგვპირდა მე და ყაზახჩევსაო. მე არ მომიკლავს, გარეთ ვიდექი და მეთვალყურეობდი. ბოლოს შემატყობინა, რომ ყაზახჩევს ამა-და-ამ ალაგას მიაგნებო. წავედი ყაზახჩევის მოსაძებნად, სალა-ოღლის ჩვენებისამებრ, შუბლაძისას და როცა არტემ ყაზახჩევმა გამოიარა, დავაპატიმრეთ და გამომძიებელს წარვუდგინეთ. ერთს სახელზე ყაზახჩევს სისხლის წვეთის ლაქა ჰქონდა და გამომძიებელს დავანახვე. გამოვკითხე და ასე მითხრა, რომ არა ვიცი-რა, მე მაგ საქმეში არა ერეულვარო. ორივე დამნაშავე პირში წავუყენეთ ერთმანეთს და ეიუბ-სალა-ოღლიმ იმასთანა სთქვა, რომ მაგან მოჰკლაო. ადრე არც ერთს არ ვიცნობდი და არც არასოდეს მინახავს. წინამძღვრიშვილს ვიცნობდი, სამსახურით ჩემი ამხანაგი იყო, მაგრამ იმის სახლში მისვლა-მოსვლა არა მქონია. გამიგონია-კი, ცოლი ბრალდებულისა ცუდს, უზნეო ცხოვრებას ატარებსო. გამოძიებიდგან შევიტყე, რომ ოლგა წინამძღვრიშვილისას გათხოვებამდე და ქმრობამდე ვიღაც ანტონოვთან უცხოვრია. წინამძღვრიშვილს 42 მან. და 66 კ. ჯამაგირი ჰქონდა და იმის ვალებისა, ან სხვისა რისამე არა გამიგონია რა. სხვასაც უთქვამს ჩემთვის, რომ ოლგა წინამძღვრიშვილისა ნამუსიანად არა სცხოვრობსო.

ბოქაული ბეგიჩევი. ამ საქმისა არა ვიცი-რა, მხოლოდ ისა ვნახე, რომ ბრალდებული ხშირად დადიოდა ალექსანდრეს ბაღში ვიღაც ქალთან, მაგრამ არ ვიცი-კი ვინ იყო ის ქალი. ამ უბედურების შემდეგ მეც გამიგონია, რომ ოლგა წინამძღვრიშვილისა ნამუსიანი დედაკაცი არ იყოვო.

ბოქ. თანაშემწე ამბარდანოვი. ბრალდებულს მხოლოდ სამსახურით ვიცნობდი. ხშირად მინახავს პოლიციის მე-8 ნაწილში და ეს გარემოება ბ-ნს ბოქაულს ერისთავს შევატყობინე კიდეც, წინამძღვრიშვილი პოლიციას ხშირად თავს ანებებს და კუკიაში დადის-მეთქი. სოფრონიჩების ოჯახში იყო ხოლმე სტუმრად. ვკითხე იმათ და არა ერთხელ უთქვამთ, რომ არც ჩვენ მოგვწონს იმისი ჩვენსა ხშირად სიარულიო. იმათთანვე სცხოვრებდა ქვრივი ქალი, მარია ოდონეცისა, ბავშვითურთ. გამიგონია, ვითომ წინამძღვრიშვილს ოდონეცისა უყვარს, გათხოვებამდე სდომებია იმისი შერთვა და ეხლაც იმად დასტრიალებს თავსაო, მაგრამ ქალი რომ იმიერკასპიის მხარეს იყო ქმართან, მაშინაც ხშირად შემხვედრია წინამძღვრიშვილი სოფრონიჩებისას. დარწმუნებული ვარ, ბრალდებულს რომ მოინდომებინა იმისი შერთვა, ოდონეცის ქვრივი არ მისთხოვდებოდა.

მაიკელდოვი. ცხრა საათი იქნებოდა, რომ იქვე წინამძღვრიშვილის მეზობლად შემომესმა წივილი. გამოვარდი გარეთ, ასე მეგონა ჩემის სახლის პატრონისას ქურდი შესულა-მეთქი და ეზოს კარებს მოვუნდომე მოხურვა. ამ დროს ვიღაც დამეძგერა მკერდით კარის მოსახურავად გაწვდენილს ხელზედ, გამიძვრა მკლავ ქვეშ და გავარდა. მე უკან გამოვედევნე, ვუყვირე შესდექ-მეთქი, მაგრამ არ გამიგონა, ისიც ჩემსავით გაჰკიოდა „დაიჭით, დაიჭითო!“ ალექსანდრეს ბაღთან რომ მივედით, წამოვეწიე და ვტაცე ხელი. ქვემოთკენ დაიხარა, არ ვიცი დასწვდა რასმე, თუ დააგდო რამე ხელიდგან. მე ასე მეგონა, რომ გაქცევას აპირობს-მეთქი, და დავარტყი. ამ დროს სხვებიც წამოგვეწივნენ.

გერმან ბუსლაიუსი. შემთხვევით გავიარე კრუზენშტერნის ქუჩაზედ. მომესმა ყვირილი და შევედი სახლში ერთ ვიღაც კაცთან ერთად, რომელსაც არ ვიცნობ. დაჭრილი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ოთახისა და დერეფნის კარებს შუა იწვა. ამ დროს ხალხიც შემოვიდა და ოთახში შეიტანეს. შემდეგ ქმარიც მოვიდა. ნაჭრილობევი გაუსინჯეთ, ერთი მუცელთან იყო და მეორე მაჯაში. როცა ხელს ვახლებდით და ვიღაც მოხუცებული დედაკაცი ჰბანდა სისხლიანს იარას, დაჭრილი ჰყვიროდა, რომ თავი დამანებეთ, ნუ მაწვალებთო. ქმარი სასოწარკვეთილებაში იყო. ასე ერთს საათს შემდეგ დაჭრილი გარდაიცვალა და მხოლოდ მაშინ მოვიდა ექიმიც. ქმარი ჩემს უკან სულ ხუთს წუთზედ შემოვიდა, იქნება სამზედაც, კარგად არ მახსოვს, ჩემთან ერთად-კი არ შემოსულა. სახლში შესვლისას ჩემ ფეხ ქვეშ რაღაც შუშის ნატეხები იმსხვრეოდა, არ ვიცი-კი, რა შუშა უნდა ყოფილიყო, ფანჯრის მინა, ლამპრის შუშა, თუ სხვა რამე.

ვასილ კრიანიკოვი. მაშინ პოლიციაში ვმსახურებდი ოკოლოდოჩნად. ყვირილი შემომესმა, გავგზავნე პოლიციელი და ამბავი მომიტანა, რომ წინამძღვრიშვილის ცოლი მოუკლავთო. შემდეგ პოლიციაშივე მოიყვანეს დაპატიმრებული ეიუბ-სალა-ოღლი და იქ განაცხადა, რომ ქმარმა მოგვისყიდა და იმან მოგვაკვლევინა თავისი ცოლიო.

როზა პასმანი. მარტო ის ვიცი, რომ ესა (ეიუბ-სალა-ოღლიზე უჩვენებს) და ერთი სომეხი შემოვიდნენ ჩემს ლუდხანაში, საღამოს რვა საათი იქნებოდა, ნახევარ თუნგი ლუდი დალიეს და წავიდნენ. მთვრალები არ იყვნენ. სომეხი წინადაცა ყოფილა რამდენჯერმე და ეს-კი, ლეკი, იმ ღამეს პირველად ვნახე. წინამძღვრიშვილთან ერთად არასოდეს არ მინახავს.

ნიკოლოზ ობლოგინი—პოლიციელი. 7 სექტემბერს მორიგე დარაჯად ვიყავი და გრიბოედოვის ქუჩასთან ვიდექი. წინამძღვრიშვილი საღამოხანზედ პოლიციასთან მელაპარაკებოდა. მითხრა, რომ აქ იდექი, რადგან ფეხები გტკივა, ვიცი, რომ მესამე სართულიდგან ჩამოვარდიო. თუ გინდა, სხვა, უფრო თავისუფალ, ადგილას გადაგიყვან სადმეო. ამ დროს პოლიციის გზირმა გამომიარა და მითხრა, რომ ლობრჟანსკის სახლთან ორი ვიღაც საეჭვო კაცი სდგას და დააფრთხეო. ბრალდებულმა მითხრა, შენ აქ იყავ, მე წავალო, მაგრამ არ დავეთანხმე. მიველი იმ საეჭვო კა-

---

*) იხ. „ივერია“ № 85.

არწმუნებდა ყველას, რომ ეგ კაცი გაპოქცეული ხიზანიაო. თამბაქოს მყიდველი ამბობდა: ეგ ის კაცია სწორედ, რომელმაც დილას ყალბი ფული შემომაპარაო. მჭედელი და მეწვრილმანე კიდევ იმას გაიძახოდნენ, რომ ეგ ის კაცია, რომელმაც მოჰკლა ქვრივი მალეისი და ექვსი კვირაა დაეძებენო.

სასამართლოში, სადაც შეიყვანეს ქაკი, სტოლთან იჯდა ისევ ის მერი, რომელიც წედან ქაკს შემოხვდა. იმის გვერდით იჯდა სოფლის სკოლის მასწავლებელი.

—ოჰო!—მხიარულად წამოიძახა პატივცემულმა მსაჯულმა:—ჰაიდა, მოსეირნევ! ხომ გითხარი, დაგიჭერთ-მეთქი! რა მოხდა? მიუბრუნდა მოსამართლე უფროს ჟანდარმს.

ჟანდარმმა მიუგო:

— ეს კაცი, ბატონო მერო, დაპატიმრებულია მათხოვრობისა და მაწანწალობის გულისათვის. ფული არ გამოაჩნდა, მაგრამ ქაღალდები-კი სრულიად აქვს, მოწმობა თავის ვინაობისა სწორია.

— მაჩვენეთ ქაღალდები, სთქვა მერმა. ქაკმა გადასცა ქაღალდები. მერმა გადაატრიალ-გადმოატრიალა გაქონილი საბუთები და უბძანა გაეჩხრიკათ ქაკი.

ქაკი გაჩხრიკეს, მაგრამ ვერა უპოვეს-რა.

— რას აკეთებდით თქვენ დილით გზაზედ?—ჰკითხა მერმა.

— სამუშაოს ვეძებდი.

— სამუშაოს შარა გზაზედ ეძებდი?

— მაშ ტყეში ხომ არ წავიდოდი?

მერმა წყნარად განაგრძო:

— მე ვუბრძანებ გაგანთავისუფლონ, მაგრამ ეცადეთ, აღარ მოგასწრონ მაგ გვარ საქციელში.

დურგალმა უპასუხა:

— მე კიდეც მირჩევნიან, რომ დამაპატიმროთ. მეყო ამდენი წანწალი შარა გზაზედ.

— ჩუმად! შეუტია მერმა და უბძანა ჟანდარმებს; წაიყვანეთ ეს კაცი ორს ვერსზედ სოფლიდამ და დეე წავიდეს თავისს გზაზედ.

ქაკმა შესთხოვა:

— უბძანეთ, პური მაინც მაჭამონ.

მერი განრისხდა:

— გაჭამონ? აღარას დაგიკლებთ! ხა, ხა, ხა, ხა! კაი სიტყვაა?!

მაგრამ ქაკმა თამამად უპასუხა:

— თუ კიდევ შარა-გზაზედ გამიშვებთ მშიერ-მწყურვალს, მეტ ღონე აღარ იქნება, შემხვდება ვინმე თქვენისთანა და ტყავს გავაძრობ.

მერი წამოდგა ზეზე და წამოიძახა:

— წაიყვანეთ, თორემ ამაზედ მეტი აღარ შემიძლიან!

ჟანდარმებმა სტაცეს ხელი დურგალს და გაათრიეს გარეთ. ქაკმა წინააღმდეგობა არ დაუწყო. ხელ-მეორედ გაიარეს სოფელში და ისევ უწინდელს გზაზედ გავიდნენ. როცა ორი ვერსი განვლეს, უფროსმა ჟანდარმა გამოუცხადა:

— აბა წავეთრიე და აღარსადა გნახოთ, თორემ ცუდად იქნება შენი საქმე.

ქაკმა ყურიც არ ათხოვა ამ სიტყვებსა და გაუდგა გზას. ამ გვარად იარა ათი თუ თორმეტი წამი.

ამ დროს, როცა ერთს ქოხის გვერდზე გაიარა, ოდნავ გაღებულ სარკმლიდამ მოხარშულის ხორცის სუნი ეცა და შედგა.

უცბად საშინელმა სიმშილმა მოუარა, იმ შიმშილმა, რომელსაც კაცი სიგიჟემდე მიჰყავს.

— ღმერთო ჩემო! თუ არც აქა, სხვაგან სადღა მაჭმევენ პურს.

ქაკმა მოიმართა ჯოხი და კარები დაარაკუნა, მაგრამ პასუხი არ მისცეს. უფრო ძლიერ დაარაკუნა:

— ვინა ხართ მანდა? გამიღეთ!

არავინ არ მისცა პასუხი. მაშინ მივიდა სარკმელთან და ხელი ჰკრა. შიგნიდამ მოხარშულის ხორცის სუნი ეცა ცხვირში.

ქაკმა ისკუპა და ოთახში გადახტა. სუფრა გაშლილი იყო და იქვე ულუფა იდგა ქურაზედ. სახლის პატრონები, ეტყობოდა, წირვაზედ წასულიყვნენ და სადილი წინდაწინვე მოემზადებინათ.

ბუხრის თავზედ ორ ბოთლს შუა პური იდო.

უწინარეს ყოვლისა ქაკი პურს მივარდა და გადატეხა. ხარბად დაუწყო ჭამა, მაგრამ ხორცის სუნმა არ მოასვენა. ქვაბიდამ ჩანგლით კაი ნაჭრები ამოიღო, შემდეგ კომბოსტოს წნილს გაჰკრა ხელი, მერე ხახვიც იპოვა, სუყველა ტაბლაზე დაალაგა, თითონაც მოუჯდა და ისე არხეინად შეექცა, თითქო თავისს სახლში არისო. როცა გაძღა, მოუნდა წყალი და შეჰხედა ბუხრის თავზედ ბოთლს. ბოთლში არაყი დახვდა, მაგრამ სულ „ერთიაო“! წაილუღლუღა და მოიყუდა.

მეორედაც მოიწაფა და გამხიარულდა. ჭამა-სმა განაგრძო, მაგრამ გვამი მეტად გაუხურდა და ძარღვებში სისხლმა თამაშობა დაუწყო.

უცბად ზარის რეკა მოესმა: წირვა გამოსულიყო. შიშმა-კი არა, უფრო სიფრთხილის ალღომ, რომელიც გულთმისანად გადააქცევს ხოლმე კაცს უბედურებაში, წამოაყენა ფეხზედ დურგალი. ქაკმა ერთს ჯიბეში პური ჩაიდო, მეორეში ერთი ბოთლი არაყი, მიიპარა სარკმელთან და გადიხტა გარეთ. ჯერ არავინ მოსჩანდა. გადახტა და პირდაპირ მინდორ-მინდორ გაჰკურცხლა იქით, საითაც ტყე იყო.

ქაკმა იგრძნო, რომ ძალა მოემატა და ამ გარემოებამ ძალიან გაახარა. თავის დანაშაულს არც-კი დარდობდა. არც ამტყუნებდა თავისს თავს ისე გამარდდა, რომ ერთს შეხტებოდა და ზედ ლობეებზედ გადადიოდა.

რა წამს მიუახლოვდა ტყეს, ამოიღო არყით სავსე ბოთლი და დაიწყო სმა. ნელ-ნელა აზრები აერია, სიარულით-კი ჯერ ისევ ყოჩაღად მიდიოდა. თან მღეროდა ძველებურს ხალხურს სიმღერას:

რა კარგი არის ტყეში...,
რა კარგი არის ტყეში
ხილისა დაკრეფაო!

ასე მიღიღინებდა ქაკი ტყე-ტყესაცა მწვანე კორდს დაინახავდა, ბავშვივით თამაშობა მოუნდებოდა და დაიწყებდა გორაობას. კოტრიალობდა ქაკი და თან ისევ იმ სიმღერას ამბობდა:

რა კარგი არის ტყეში...
რა კარგი არის ტყეში
ხილისა დაკრეფაო!

უცბად ქაკმა დაინახა მოსამსახურე გოგო, რომელსაც რძე მიჰქონდა ახლო სოფელში.

ქაკს თვალები აენთო და ისე უცქეროდა გოგოს, როგორც მგელი ცხვარს. გოგომ დაინახა ქაკი, გაუცინა და დაუყვირა:

— მაგრე კარგად თქვენა მღეროდით?

ქაკმა პასუხის მაგიერ ისკუპა და საშინელ სიმაღლიდამ გადაეშვა ძირს, სადაც სოფლის გოგონა იყო. გოგო შეკრთა და საყვედური დაუწყო ქაკს.

—ღმერთო, რა რიგათ შემაშინეთ!

მაგრამ ქაკს აღარაფერი არ ესმოდა. არაყისაგან გაბრუებული და გაგიჟებული იყო. შეშინებული ქალი უკან-უკან იწევდა: ქაკის დაბრიალებული თვალები, დაღებული პირი და გაწვდენილი ხელები აშინებდა გოგოს.

ქაკი სწვდა გოგოს და მხრები დაუჭირა. ქალს სარძეულები ხელიდამ გაუსხლტა, ქვებზედ დაუგორდა და რძე სულ ერთიანად დაექცა.

რძის დაქცევაზედ ქალი გაცეცხლდა, გაიძრო ფეხიდამ ფლოსტი და ახლა თითონ მივარდა ქაკს.

ქალის გაჯავრებაზედ ქაკი გამოფხიზლდა და მოჰკურცხლა. ახლა შეეშინდა თავის საქციელისა. ქალი ქვებს ესროდა და რამდენჯერმე მოარტყა კიდეც ზურგში.

ქაკი დიდხანს მირბოდა, მირბოდა იმდენს ხანს, ვიდრე ღონე არ გამო-

ცებთან, ვუთხარ—აქ ნუ სდგეხართ-მეთქი, და ასე მითხრეს, რომ წაველთო, განა ქუჩაში დგომაც აღკრძალულიაო. დავინახე, რომ სომეხი ქვემოდ წავიდა, გოლოვინის პროსპექტისაკენ, მეორემ-კი პოლიციისკენ აუხვია და ჭავჭავაძის ქუჩისკენ გაემართა. წინამძღვრიშვილი ამ დროს პოლიციასთან იდგა. სომეხს ვიცნობდი, რადგან იმ ერთის კვირის წინად მოვიდა პოლიციაში და წინამძღვრიშვილის სახლი იკითხა. პოლიციისკენ მიმავალმა, ქუჩის მეორე მხარეს, და წინამძღვრიშვილმა შორიდგან რაღაც უთხრეს ერთმანეთს, რაღაც მოილაპარაკეს არა რუსულად, არ ვიცი რა ენაზედ იყო, თათრულსა, თუ ქართულზედ. რუსული-კი არა ყოფილა, ვერა გავიგე-რა. ეს ამბავი 7 სექტემბერს იყო. ბოლოს სომეხმა გამომძიებლისას მითხრა, რომ ჩვენ, შენ რო არ შეგვეშალა ხელი, 7 სექტემბერსავე გვინდოდა ქალის მოკვლაო.

(შემდეგი იქნება)

დეპეშა

24 აპრილი

პეტერბურგი. გუშინ მიიღეს გატჩინოში ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე იმპერატრიცამ მემკვიდრე ცესარევიჩის თანადასწრებით პრინცი იაპონიისა ჰაკეხიტო არისუგავა. პრინცმა მიართვა ხელმწიფე იმპერატრიცას ორდენი იაპონიის საიმპერატორო ვარსკვლავისა. შემდეგ პრინცი მიწვეულ იქმნა ხელმწიფის საუზმეზედ. 28 აპრილს პრინცი მოსკოვში მიდის.

მინისტრმა გრაფ ტოლსტოიმ ღამე მოუსვენრად გაატარა, რადგან შემაწუხებელი ხველა აუვარდა. გვერდის ტკივილმა უკლო. სიცხე აქვს 37,9; მაჯა—104. პროფესორი ზახარინი გუშინ დაბრუნდა მოსკოვში.

„Гражданинъ"-ი იუწყება, რომ შაბათს პროფესორი ზახარინი გატჩინოს იყო და მოახსენა ხელმწიფეს გრაფ ტოლსტოის ავადმყოფობის ამბავიო.

პარიჟი. გზაზედ პარიჟიდამ ვერსალამდე პრეზიდენტს კარნოს მიეგებნენ მოხელენი და ერი. ვერსალში გამოკიდებულია სახსოვარი ფიცარი იმ შენობის კედელზე, სადაც შეიკრიბნენ უმთავრესი შტატები. ვერსალის სასახლის მინის დარბაზში სენატის პრეზიდენტმა წარმოსთქვა სიტყვა და სხვათა შორის სთქვა: თუ საფრანგეთის რევოლიუციამ ის დააშავა, რომ მეტად გაბედულად ოცნებობდა, სამაგიეროდ ეხლანდელნი ფრანგნი აშავებენ, რომ ნაკლებად იჩენენ თავ-განწირულებას, ნაკლებათ ესმით თავიანთი მოვალეობა და ნაკლებად აქვთ სიმტკიცე ხასიათისაო. პრეზიდენტმა ჯეროვანი მიუწყო 1789 წლის მოღვაწეთ, რომელთაც დიდის გაჭირებითა და სხვერპლის გაწირვით დიდივე სამსახური გაუწიეს საფრანგეთსაო. კარნომ ილაპარაკა, რა დედა-აზრსა ჰქადაგებდა 1789 წელი, მოუწოდა ყველას, თანხმობით იყავით და შეიწყნარეთ ერთმანეთიო, და ბოლოს ასე გაათავა: ვისურვოთ, რომ დიდებულმა საუკუნემ, რომელსაც ეხლა ვდღესასწაულობთ, დააგვირგვინოს საქმე ყველა ფრანგთა შერიგებისა და მამულისა და თავისუფლების სახელით შეგვაყვაროს ყველას საერთო ბედნიერება ერისაო. ვერსალის ეპისკოპოსმა სიტყვა უთხრა კარნოს. ეპისკოპოსმა სთქვა, რომ 1789 წელს სამღვდელოება მსურველი იყო რეფორმისაო. ეხლანდელი სამღვდელოებაც ასეთის კეთილის გრძნობითვეა აღსავსე ვისურვოთ, რომ ჩვენს ლოცვასა და სიყვარულში არასოდეს არ განიყოფებოდეს ერთმანეთისაგან საფრანგეთი და ეკლესიაო.

25 აპრილი

ბაქო. ქალაქის საბჭოს ალექსანდრეს დარბაზში დაიწყო მუშაობა ნავთ-მრეწველთა მეხუთე კრებამ ტაინი სოვეტნიკის კ. ა სკალკოვსკის თავსმჯდომარეობით. თავსმჯდომარემ არ შეიწყნარა თხოვნა ოცის მდიდარ ფირმისა. ეს ფირმები თხოულობდნენ, რომ კრებამ იშუამდგომლოს და თავის პროგრამაში ჩაუმატოს განხილვა ნავთის მილის გაყვანის საქმისაო.

რომი. (განსაკ. კორრესპონდენტისაგან). გუშინ იტალიის ბევრს ქალაქებში დემონსტრაციები გამართეს და საფრანგეთს თანაგრძნობა გამოუცხადეს.

პარიჟი. გამოფენა ისე დაიწყო, როგორც პროგრამით იყო განზრახული. ტირარმა სთქვა, რომ გამოფენის საქმე კარგად წავიდა და მოლოდინსაც გადააჭარბაო. პრეზიდენტმა კარნომ მადლობა გადაუხადა საფრანგეთის სახელით ყველას, ვინც გამოფენის საქმეს ხელი შეუწყო, და გამოაცხადა, რომ გამოფენა დაწყებულიაო.

ელია. როცა მოსუსტდა და მოიქანცა, მიატანა ერთ ხის ძირას, დაჯდა და იქვე მიეძინა. გაეღვიძა მხოლოდ მაშინ, როცა ხელის კვრა დაუწყეს. ქაკმა თვალები გაახილა და დაინახა, რომ ისევ ის დილანდელი ჟანდარმი იყო იმის წინ ატუზული.

— მე ნამდვილად ვიცოდი, რომ შენ ჩვენს ბჭყალებს ვერსად წაუხვიდოდი.

ქაკი ადგა, ჟანდარმები ხელებს უკრავდნენ და აჯანჯღარებდნენ, იქნება საცემად მიზეზი მოგვცესო.

— გასწი პირდაპირ! —უბძანა ჟანდარმმა.

საღამოვდებოდა. ნახევარ საათს უკან სამივენი სოფელში იყვნენ.

სოფლელებს ქაკის ამბავი წინადვე გაეგოთ და გული მოსდიოდათ, თითქოს ყველანი დაზარალებულიყვნენ იმისაგან.

როცა სოფელში ამოატარეს, ხალხმა სტვენით და ლანძღვა-გინებით კიჟინა დასცა გათოკილს დურგალს. მერმა დანახვის უმალვე დაუღრიალა:

— ოჰ, მაწანწალავ, დაგიჭირეს!

კმაყოფილების ნიშნად მერმა ხელების ფშვნეტა დაიწყო. ამ ამბავმა ძალიან გაახარა ეს კაცი.

— მაშინვე შეგატყე, გნახე თუ არა პირველად, რომ შენ წმინდა წყლის კაცი არ უნდა ყოფილიყავი.

მერმა შემდეგ უფრო მხიარულად დაუმატა:

— ახლა-კი კატორგა აღარ აგცდება, საზიზღარო მაწანწალავ, შე ბოგანა მათხოვარა, შე ქურდო, შე ავაზაკო, შენა!

მ. ჯ.

პეტერბურგის ბირჟა, 21 აპრილი

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	7½	— „	— „
ტამოჟნის კუპონები	— „	— „	149¼
მანათიანი ვერცხლის ფული	1 13	— „	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	269½	— „	— „
—მეორისა	242½	— „	— „
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა	98 „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა	98 „	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— „	— „	84¼

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 აპრილიდამ 1 მაისამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5	კაპ.
პური 1-ის ხარისხისა.	3½	›
„ 2 „	3	„
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5	„
„ „ 2—	4	„
„ „ 3 „	3½	„
ჯვარის მამის პურის ღვავაში		
1-ლის ხარისხისა	5	„
მე-2 ხარისხისა	4	„
მე-3 —		„
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	9	„
„ 2 „	8	„
სუკი	16	„
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	12	„
ღორის ხორცი	„	„
„ 2 „	„	„

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა ამით აცხადებს, რომ უძრავნი მამულნი ქვემორე მოხსენებულთა პირთა, დაგირავებულნი ბანკში, წესდების მე-14 § ძალით დანიშნულნი არიან საჯაროდ გასასყიდად, რადგან მათ პატრონთ არ შემოუტანიათ ბანკის წესდებით დაწესებული შემოსატანი ფული.

მამულები არ დაინიშნება გასასყიდად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხვედრი ფული იქმნება შემოტანილი.

ბორჯღალიევი, თეოფანე პროკოფის ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, ყოველის მოწყობილობით. ადგილი სივრცით 105 ოთხ-კუთხი საჟენია მე-12 ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ტფილისს, ჩუღურეთში.

ანდრონიკაშვილი, ზაქარია აბელის ძე: სახნავი და საძოვარი მამულები, სივრცით 800 დესეტინა. ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრას, იმ ადგილას, რომელსაც ეწოდება აზამდარა.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნის-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

	მან.	კაპ.
თამარიანი, რაფიელ ერისთავისა	„	60
თორნიკე ერისთავი	1	
საყმაწვილო ამბები	„	40
ნინო ორბელიანის ლექსები	„	40
პატარა მოამბე, ა. მირიანაშვილისა	„	10
თამარიანი, გუგუნავასი	„	50
ლექსიკონი, ჩუბინაშვილისა II ნაწილი	3	
რუსულ-ქართული ლექსიკონი, მისივე	3	60
თამარ-ცბიერი, აკაკისა	„	50
გრიგოლ ორბელიანის ლექსები	„	50
ნ. ბარათაშვილის ლექსები	„	40
სამის თავ-გადასავალი, მოთხრობა ან. ფურცელაძისა.	„	25
არითმეტიკა, მ. ყიფიანისა.	„	80
სურამის ციხე	„	20
გულივერის მოგზაურობა	„	50
სამ-გვარი სიყვარული, აკაკისა	„	30
საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც.	3	„
კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა	„	40
ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა	„	20
დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა	„	10
საქართველოს კალენდარი, გუნიასი	„	45
სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულ ენაზე)	3	50
ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა	,,	50

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

12 თთვით . . .	10 მ.—კ.	6 თთვით . . .	6 მ.—კ.
11 „ . . .	9 „ 50„	5 ›	5 „ 25„
10 „ . . .	8 „ 75„	4 ›	4 „ 75„
9 „ . . .	8 „ —„	3 ›	3 „ 50„
8 „ . . .	7 „ 25„	2 ›	2 „ 75„
7 „ . . .	6 „ 50„	1 ›	1 „ 50„

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.

დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების" მიერ

ისყიდება

„საზოგადოების" კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა" ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად **ნაღდ ფულზე** იყიდის **ოც-და-ათ ცალს** დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა **ხუთ შაურად** (25 კაპ.); ვინც იყიდის **ათს** ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა **თოთხმეტ შაურად** (70 კაპ.), ვინც **ოც-და-ათს** ცალსა,—**ცამეტ შაურად** (65 კაპ.), ვინც **ასსა** და მეტსა,—**სამ აბაზად** (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ **სამი შაური** უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, **გასაგზავნი ხარჯი** თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.

Доз. ценз. Тифлисъ 25-го Апрѣля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე